



ევროკავშირი
საქართველოსთვის



M meliora
საქართველოს პასუხისმგებელი
ბიზნესის კონკურსი

საქართველოს
პასუხისმგებელი
ბიზნესის კონკურსი 2024



მოთხოვნები და პირობები

სარჩევი

1. მონაწილეობის პირობები	3
2. განაცხადების წარდგენა.....	4
3. ინფორმაციის გამჟღავნება და კონფიდენციალურობა.....	6
4. შეფასება	7
5. სხვა დებულებები.....	9
6. კონკურსის გუნდის საკონტაქტო მონაცემები	9

1. მონაწილეობის პირობები

ზოგადი

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ **საქართველოში დარეგისტრირებულ კერძო კომპანიებს** (სამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც დარეგისტრირებულია და საქმიანობს საქართველოში). „კერძო კომპანიებში“ იგულისხმება კომპანიები, რომლებიც იღებენ შემოსავალს საქონლისა და მომსახურების მიწოდების მეშვეობით. კონკურსზე არ დაიშვებიან სამოქალაქო ორგანიზაციები, საჯარო სექტორის უწყებები ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები (სახელმწიფოს კომპანიების კატეგორიას განეკუთვნებიან ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა წილის ან აქციათა პაკეტის 50%-ს ან მეტს ფლობს ცენტრალური ან ადგილობრივი მთავრობა, ან მათი შვილობილი კომპანიები, და/ან კომპანიები რომელთა კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო - მაგ. რომელთაც მთავრობის მხრიდან დანიშნული ჰყავს სპეციალური მმართველი).
- კონკურსზე არ დაიშვებიან **კომპანიები**, რომელიც მიეკუთვნება საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის მქონე სექტორებს, კერძოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სექტორებიდან ერთ-ერთს: სათამაშო ინდუსტრია (აზარტული თამაშები, მათ შორის ონლაინ თამაშები, კაზინოები და მსგავსი სახის დაწესებულებები); თამბაქოს წარმოება ან ვაჭრობა; იარაღის წარმოება ან იარაღით ვაჭრობა; ასევე საქართველოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით აკრძალულ ბიზნეს საქმიანობაში ჩართული კომპანიები.
- განაცხადების შემოტანა შეუძლიათ **მცირე, საშუალო და მსხვილ კომპანიებს**. კონკურსში მონაწილეობა ასევე შეუძლიათ **მულტინაციონალური კომპანიების** საქართველოში მოქმედ ფილიალებს, თუ განაცხადი ასახავს ადგილობრივ აქტივობებს და არა უცხოური/გლობალური ორგანიზაციის საქმიანობას.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტანდარტის¹ შესაბამისად, „საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსში“ **მცირე და საშუალო ზომის ბიზნესად** მიიჩნევა კომპანია, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა არ აღემატება 250 ადამიანს. **მსხვილ ბიზნესად** მიიჩნევა კომპანია, რომელშიც თანამშრომელთა რაოდენობა აღემატება 250 ადამიანს. **მულტინაციონალური კომპანია**, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით აღემატება 250 თანამშრომელს, მიიჩნევა მსხვილ კომპანიად, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი თანამშრომელი ჰყავს მას საქართველოში.
- კონკურსში შეიძლება იმ **პროგრამების/პროექტების/ინიციატივების** წარდგენა, რომლებიც **2023 წელს განხორციელდა**. საკონკურსოდ წარდგენილი პროგრამა, პროექტი ან ინიციატივა უნდა იყოს ან დასრულებული, ან განხორციელების აქტიურ ფაზაში - როდესაც ზოგი შედეგი უკვე მიღწეულია, დანარჩენი კი აშკარად იკვეთება.

¹ <http://www.geostat.ge>

თუ პროგრამა/პროექტი უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება, საკონკურსოდ შეიძლება 2023 წლის კონკრეტული აქტივობების და შედეგების წარდგენა.

საკონკურსოდ წარდგენილი პროექტები

- განაცხადში აღწერილი აქტივობები უნდა სცდებოდეს იმ აქტივობების ფარგლებს, რომელთა შესრულებაც კომპანიას კანონმდებლობით მოეთხოვება ან რომლებიც მხოლოდ კომპანიის ბიზნეს საქმიანობას ასახავს. წარდგენილი პროექტი/ინიციატივა უნდა ერგებოდეს კონკურსის კატეგორიებს და ასახავდეს კომპანიის პასუხისმგებელ ქმედებებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა მიღმა.

წინა წლის კონკურსის მონაწილეები

- წინა წლის კონკურსის მონაწილეს შეუძლია კვლავ მიიღოს მონაწილეობა კონკურსში და ნებისმიერ კატეგორიაში წარადგინოს ახალი პროექტ(ებ)ი. მას აგრეთვე შეუძლია შემოიტანოს საკონკურსოდ იგივე პროექტი (რომელიც წინა წელს ჰქონდა წარდგენილი) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინა განაცხადთან შედარებით აჩვენებს საგრძნობ გაუმჯობესებას, ახალ შედეგებსა და მიღწევებს. იგივე პროექტის უცვლელად შემოტანა დაუშვებელია.

წინა წლის კონკურსის გამარჯვებულები

- წინა წლის კონკურსის გრან პრის მფლობელი არ დაიშვება მომდევნო წელს იმავე კატეგორიაში (კვლავ „წლის პასუხისმგებელი კომპანიის“ კატეგორიაში) მონაწილეობისთვის. მას შეუძლია განაცხადის შემოტანა ნებისმიერ სხვა კატეგორიაში.
- წინა წლის კონკურსის თემატური ან სპეციალური კატეგორიის გამარჯვებულს არ აქვს უფლება შემდეგ წელს საკონკურსოდ წარადგინოს იგივე პროექტი (რომელმაც წინა წელს გაიმარჯვა), რაოდენ მნიშვნელოვანი სიახლეები, გაუმჯობესება და ახალი მიღწევებიც არ უნდა ჰქონდეს ამ პროექტს.
- წინა წლის კონკურსის თემატური ან სპეციალური კატეგორიის გამარჯვებულს შეუძლია საკონკურსოდ წარადგინოს სხვა პროექტი იმავე კატეგორიაში, რომელშიც შარშან გაიმარჯვა, ან ნებისმიერ სხვა კატეგორიაში.

სპონსორი კომპანიები

- ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად კონკურსის სპონსორი კომპანიები არ დაიშვებიან კონკურსის არც ერთ კატეგორიაში მონაწილეობისთვის.

2. განაცხადების წარდგენა

ზოგადი

- ყველა განაცხადი გამოგზავნილი უნდა იყოს Word-ის დოკუმენტის სახით, მოთხოვნილ დანართებთან ერთად, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: csrwards@meliora.ge

ბოლო ვადა

- **განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა** 2024 წლის 20 თებერვალი, სამშაბათი. ამ ვადის გასვლის შემდეგ შემოტანილი განაცხადები აღარ მიიღება.

განაცხადის წარდგენის მოთხოვნები

- განაცხადი წარდგენილად ითვლება მხოლოდ განაცხადის ფორმის **ყველა სავალდებულო სექციის შევსების შემდეგ**. არასრული განაცხადები არ განიხილება.
- ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს განაცხადის ფორმის შესაბამის სექციაში მითითებული **სიტყვების მაქსიმალურ რაოდენობას**.
- განაცხადი, რომელიც არ აკმაყოფილებს **მონაწილეობის პირობებს**, შესაძლოა დისკვალიფიცირებულ იქნეს. კონკურსის ორგანიზატორები შეამოწმებენ თითოეული განაცხადის შესაბამისობას წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ მონაწილეობის პირობებთან (სექცია 1).
- კონკურსის ორგანიზატორები გაცნობებენ, თუ თქვენი განაცხადი ვერ დააკმაყოფილებს მონაწილეობის პირობებს. თუ შესაძლებელი იქნება, დამატებით მოგეცემათ რამდენიმე დღე განაცხადის შესასწორებლად და/ან მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

თანმხლები მასალები

- კონკურსსანტებს სთხოვენ წარმოადგინონ **აღმასრულებელი დირექტორის** (ან შესაბამისი თანამდებობის პირის) **მოკლე ციტატა**. ეს მოთხოვნა არ არის სავალდებულო, მაგრამ მისი შესრულება სასურველია. წარმოდგენილი ციტატა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა საკონკურსო მასალაში (ვებგვერდზე, საინფორმაციო ბროშურებში, სხვა).
- განაცხადს უნდა ახლდეს **კომპანიის ლოგოს** მაღალი რეზოლუციის ფაილი და მინიმუმ ერთი მაღალი რეზოლუციის ფოტო, რომელიც ასახავს წარდგენილი პროექტს/ინიციატივას. აღნიშნული ფოტო გამოქვეყნდება კონკურსის საკომუნიკაციო მასალებში.
- შეგიძლიათ, და სასურველია, რომ განაცხადს დაურთოთ **დამადასტურებელი მასალები** - დოკუმენტები, ფოტოები და ვიდეომასალა, რომლებიც თქვენს აქტივობებს უფრო ვრცლად ასახავს და წარმოაჩენს განხორციელებული პროექტის/ინიციატივის ზეგავლენას. ტექსტურ თუ ვიზუალურ დამადასტურებელ მასალებს დამატებითი ქულები არ ენიჭება, თუმცა მათ გარეშე წარმოდგენილ განაცხადებს გამარჯვების მცირე შანსი აქვთ. კონკურსსანტებს ვთხოვთ მიუთითონ დამადასტურებელ მასალებზე, განაცხადის რა ნაწილს ეხება თითოეული მათგანი (ფოტო, ვიდეო ან დოკუმენტი).
- კომპანიის ლოგო და დამადასტურებელი მასალები უნდა აიტვირთოს **Google drive-ზე** და ბმული მიეთითოს განაცხადის ფორმის შესაბამის ველში.
- განაცხადს უნდა ერთვოდეს **აღმასრულებელი დირექტორის** (ან შესაბამისი თანამდებობის პირის) ან განაცხადზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერილი

კომპანიის განცხადება, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია სწორად ასახავს თქვენი კომპანიის პროგრამას/ინიციატივას და საქმიანობას; თუ განაცხადში მითითებულია სხვა ორგანიზაციის პარტნიორული მონაწილეობა თქვენს ნომინაციაში, განაცხადს ასევე უნდა ერთვოდეს **პარტნიორის განცხადება**. კომპანიის განცხადება და პარტნიორის (თუკი არსებობს) განცხადება გამოგზავნილი უნდა იყოს შევსებული განაცხადის დანართის სახით, ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: csrwards@meliora.ge

რამდენიმე განაცხადი

- კომპანიებს შეუძლიათ განაცხადები წარადგინონ ერთზე მეტ კატეგორიაში. ასევე შესაძლებელია ერთმა კომპანიამ რამდენიმე განაცხადი შეიტანოს ერთ კატეგორიაში, თუ ეს განაცხადები განსხვავდება და ამ კატეგორიაში განსაზღვრულ სხვადასხვა თემას შეეხება. არ შეიძლება ერთი და იმავე განაცხადის ორ ან მეტ სხვადასხვა კატეგორიაში ორჯერ წარდგენა.

დაკარგული განაცხადები

- განაცხადის წარდგენის შემდეგ კონკურსის გუნდისგან მიიღებთ განაცხადის მიღების დამადასტურებელ ელექტრონულ წერილს. თუ ასეთ ელექტრონულ შეტყობინებას არ მიიღებთ 3 დღის განმავლობაში (გთხოვთ შეამოწმეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის სპამ-წერილების განყოფილება), გთხოვთ დაუკავშირდეთ კონკურსის გუნდს ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: csrwards@meliora.ge ან ტელეფონის ნომერზე: 551906090

განმცხადებლების შემდგომი დახმარება

- ტელეფონით და ელექტრონული ფოსტით კითხვის დასმა ან კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11:00-დან 18:00 საათამდე. გთხოვთ კონკურსის გუნდს დაუკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: csrwards@meliora.ge ან ტელეფონის ნომერზე: 551906090
- კონკურსის ორგანიზატორები ყველა დაინტერესებული მხარისთვის გამართავენ **კონსულტაციებს** განაცხადს წარდგენის პროცედურებთან და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. კონსულტაციების თარიღი და ადგილი გამოცხადდება კონკურსის ვებგვერდზე.

3. ინფორმაციის გამჟღავნება და კონფიდენციალურობა

- საკონკურსო განაცხადის წარდგენით განმცხადებლები ადასტურებენ, რომ უფლებამოსილი არიან მოგვაწოდონ განაცხადში ასახული მონაცემები, მასალები, ფოტოები, რომლებიც მათ ან მათ პარტნიორებს/მესამე მხარეებს უკავშირდება, ხოლო კონკურსის ორგანიზატორებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს მასალები კონკურსთან

დაკავშირებულ პუბლიკაციებში, კონკურსის ვებგვერდსა და სოციალური მედიის არხებზე.

- საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი იცავს და ავრცელებს კეთილსინდისიერი საქმიანობის პრინციპებს. განაცხადის წარდგენით კონკურსანტები გამოხატავენ თანხმობას, რომ განაცხადების არაკონფიდენციალური და კომერციულად არამგრძობიარე ელემენტები გამოყენებული იყოს საკონკურსო კომუნიკაციაში, მათ შორის, კონკურსის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში, პასუხისმგებელი ბიზნესის საუკეთესო მაგალითების ჩვენების და პოპულარიზაციის მიზნით.
- კონკურსანტებმა, რომლებსაც სურთ დაცული იყოს მათ განაცხადში წარმოდგენილი გარკვეული მონაცემების კონფიდენციალურობა (კომერციულად მგრძობიარე ელემენტები და ა. შ.), მკაფიოდ უნდა მიუთითონ ამის შესახებ განაცხადის ფორმის შესაბამის ველში. ნებისმიერი ასეთი ელემენტის კონფიდენციალურობა მკაცრად იქნება დაცული და არ გამჟღავნდება კონკურსის შეფასების პროცესის გარეთ.
- თუ თქვენმა ნომინაციამ გაიმარჯვა, თქვენი პროგრამის/პროექტის მოკლე მიმოხილვა გამოქვეყნდება კონკურსის ვებგვერდზე და გავრცელდება სხვა მედიაარხების მეშვეობით. შესაძლოა, დაგიკავშირდეთ დამატებითი ფოტო/ვიდეომასალის მოწოდების თხოვნით.
- განაცხადებში ასახული პირადი მონაცემები, როგორცაა განაცხადზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, მისამართი თუ ელექტრონული ფოსტის მისამართი, გამოყენებული იქნება თქვენთვის ინფორმაციის მოსაწოდებლად ან თქვენს შეკითხვებზე პასუხის გასაცემად. პასუხისმგებლობა სწორი საკონტაქტო მონაცემების მოწოდებაზე გეკისრებათ თქვენ. თუ გსურთ ჩვენს ხელთ არსებული პირადი მონაცემების განახლება, გთხოვთ დაგიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

4. შეფასება

- „საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის“ შეფასება ორეტაპიანი პროცესია: მონაწილეობის პირობებთან შესაბამისობის შემოწმება და ჟიურის მიერ განაცხადების შეფასება.
- მონაწილეობის პირობებთან შესაბამისობას შეამოწმებს კონკურსის ორგანიზატორთა გუნდი საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრიდან, დამოუკიდებელი შემფასებლებისგან დაკომპლექტებული ჟიური კი შეაფასებს თითოეულ განაცხადს. შეფასების პროცესის ჩასატარებლად კონკურსის ორგანიზატორები იწვევენ შესაბამისი სფეროს წამყვან ქართველ და საერთაშორისო ექსპერტებს.

- საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის (კონკურსის ორგანიზატორი) არც ერთი წარმომადგენელი არ არის ჟიურის შემადგენლობაში. კონკურსის გუნდი პასუხისმგებელია შეფასების პროცესის ორგანიზაციულ ხელშეწყობაზე, მაგრამ არანაირ გავლენას არ ახდენს შეფასების შედეგებზე.
- თითოეულ განაცხადს აფასებს რამდენიმე შემფასებელი, შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელოს მიხედვით (რომელიც ხელმისაწვდომია კონკურსის ვებგვერდზე: www.meliora.ge). თითოეულ კატეგორიაში წარმოდგენილ განაცხადებს აფასებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის/მდგრადობის ექსპერტები და შესაბამისი სფეროს თემატური ექსპერტები (როგორებიცაა: გარემოს დაცვის ექსპერტები, სათემო განვითარების ექსპერტები, შრომის საკითხების ექსპერტები და სხვა). ეს ზრდის „საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსის“ სანდოობას და შეფასების ხარისხს.
- განაცხადების შესწავლის შემდეგ ჟიურის წევრებს შესაძლოა გაუჩნდეთ კითხვები და ნომინანტებისგან მოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია. შემფასებლები უშუალოდ არ უკავშირდებიან ნომინანტებს - კითხვებს და დამატებითი ინფორმაციის თხოვნას ნომინანტებს გადასცემენ კონკურსის ორგანიზატორები.
- „მთავარი პრიზის“ და „წლის CSR-მენეჯერის“ კატეგორიებისთვის ჟიურის შეფასება ორ ეტაპიანია. განაცხადების შეფასების შედეგად შერჩეული ფინალისტები პირადად წარდგებიან ჟიურის წინაშე. მათი ზეპირი პრეზენტაციების საფუძველზე ჟიური მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას და გამოავლენს აღნიშნული კატეგორიების გამარჯვებულებს.
- კომპანიები, რომელთა განაცხადების შეფასების ჯამური საშუალო ქულა იქნება 60 ან მეტი ქულა, შევლენ „გრძელ სიაში“. ამ კომპანიათა განაცხადების მოკლე აღწერა შევა კონკურსის კატალოგში, აგრეთვე „გრძელი სიის“ კომპანიები საჯაროდ დასახელდებიან კონკურსის საკომუნიკაციო არხებით დაჯილდოების ღონისძიებამდე.
- კატეგორიაში შემოსული უნდა იყოს სულ მცირე სამი განაცხადი, რომ მოხდეს გამარჯვებულის გამოვლენა.
- ჟიურის წევრებს უფლება აქვთ არ გამოავლინონ რომელიმე კატეგორიის გამარჯვებული, თუ მიიჩნიეს, რომ განაცხადები არ აკმაყოფილებს სათანადო სტანდარტს.
- ჟიურის თითოეულ თემატურ კატეგორიაში ორი ჯილდოს მინიჭების უფლება აქვს - მსხვილი კომპანიისთვის და მცირე და საშუალო ზომის კომპანიისთვის.
- კონკურსის დასრულების შემდეგ კონკურსზე დაშვებულ ყველა განმცხადებელს კონკურსის ორგანიზატორები გაუზიარებენ მათ განაცხადებზე შემფასებლების კომენტარების მოკლე რეზიუმეს (წერილობითი ფორმით). კონკურსის ორგანიზატორებს და შემფასებლებს არ შეუძლიათ კონკურსანტებს მიაწოდონ ვრცელი კომენტარი.
- ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ დაექვემდებარება გადახედვას.

- დაუშვებელია შემფასებლებთან ლობირება. ინფორმაცია ჟიურის შესახებ კონფიდენციალურია. განაცხადების შეფასების დაწყებამდე ყველა შემფასებელი ხელს აწერს შეთანხმებას კონფიდენციალურობის დაცვაზე და განაცხადებს ინტერესთა ნებისმიერი კონფლიქტის შესახებ (თუკი არსებობს).
- კონკურსში გამარჯვებულები გამოცხადდება დაჯილდოების ცერემონიაზე, რომელიც გაიმართება 2024 წლის ივნისში.

5. სხვა დებულებები

- „საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსზე“ განაცხადების შემოტანა უფასოა.
- თაღლითობაზე დასაბუთებული ეჭვის გაჩენის ან რეალური თაღლითობის შემთხვევაში, კონკურსის ორგანიზატორებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ კონკურსი ან მისი რომელიმე კომპონენტი.
- კონკურსი და კონკურსის ეს პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. კონკურსის გუნდის საკონტაქტო მონაცემები

ელექტრონული ფოსტა: csrawards@meliora.ge

ტელეფონი: 551906090 (გვანცა)